ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69. 69232197**

თარიღი:**07/08/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N69. 69230812 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“- ს 63 - ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის **N 69. 69230812 განკარგულებაში და** მოწონებული იქნეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დამატებით დასაფინანსებელი პროექტი („კახორის“ეკლესიამდე მიმავალი გზის რეაბილიტაცია) , დანართი N 1-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. ნება დაერთოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი მუხლით მოწონებული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის

პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N 23 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი მუხლით

განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების

განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება გაადაეგზავნოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას

მუხლი 5.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი